პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პოლიტიკის ცხოვრება

1990 15 თებერვალი ხუთშაბათი

№20 (6247)

ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 201 საოლქო საარჩევნო კომისიაში

13 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №201 საოლქო საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ **რ. სილაგაძემ.**

სხდომამ განიხილა საკითხი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ.

ინფორმაცია გააკეთა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რ. სილაგაძემ. მან კომისიის წევრებს გააცნო შრომითი კოლექტივების, პარტიული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილებები დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ.

სიტყვაში გამოსულმა კომისიის წევრებმა ისაუბრეს დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიასა, შრომით საქმიანობასა და პიროვნულ თვისებებზე. აღინიშნა, რომ დეპუტატობის კანდიდატები თანახმა არიან კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში. კომისიამ განიხილა წინადადება მათი რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა:

ახვლედიანი ელდარ ალიოშას ძე — დაბადებული 1939 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის უფროსი მასწავლებელი (საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან).

ბენიძე ვენედი გიორგის ძე — დაბადებული 1950 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო ნაწილის უფროსის მოადგილე (საქართველოს სსრ იურისტთა კავშირისაგან).

გოლეთიანი არდევან შოთას ძე — დაბადებული 1953 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, უპარტიო, ალპანის საუბნო საავადმყოფოს მთავარი ექიმი (საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობისაგან).

გუგავა ემზარ კონსტანტინეს ძე — დაბადებული 1955 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი, საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი (საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმისაგან).

მახარობლიძე რევაზ მეთოდეს ძე — დაბადებული 1936 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სკკპ წევრი, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მანქანა-ტრაქტორების ექსპლოატაციის კათედრის გამგე (საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოებისაგან).

ყურაშვილი ეთერი დიმიტრის ასული — დაბადებული 1945 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი, აღვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი (აღვის სასოფლო საბჭოს ამომრჩევლებისაგან).

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია გრძელდება.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ლუხვანოს №24 საარჩევნო უბნის ცენტრის გადატანის შესახებ

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

მეწყრის გააქტიურების და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების გამო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ლუხვანოს №24 საარჩევნო უბნის ცენტრი, ლუხვანოს სასოფლო კლუბის შენობიდან გადატანილი იქნეს ლუხვანოს სასოფლო საბჭოს შენობაში.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ი. სვანიძე.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანი ნ. ბ. ტვილდიანი.

ქ. ცაგერი, 8 თებერვალი, 1990 წელი.

ხუთწლედი — ვადამდე

სამშენებლოს 1 თებერვლისათვის ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმის შესრულება უპატაკეს ორბელის კოლმეურნეობის მშრომელებმა. ამასთან აქაურ მშრომელთა საზოგადოებრივი და საკარმიდამო მეურნეობებიდან რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა სანახევროდ გაანაღდეს, სახელმწიფოს 21 ცენტნერი რძე მიჰყიდეს, როცა პირველ კვარტალში გეგმით 40 ცენტნერი უნდა მიჰყიდონ.

საკადესის ცნობა

მიფრინავს „სოიუზ ტმ - 9“

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1990 წლის 11 თებერვალს 9 საათსა და 16 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს „სოიუზ-ტმ-9“ კოსმოსური ხომალდი, რომელსაც პილოტობს ექიპაჟი მეთაურის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის მფრინავი კოსმონავტის ანატოლი იაკობის ძე სოლოვიოვისა და ბორტინჟინრის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბალანდინის შემადგენლობით.

ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია „სოიუზ ტმ-9“ ხომალდისა და „მირ“ პილოტირებული კომპლექსის შეპირაპირება. ერთობლივი ფრენის დროს მეცნიერული კვლევა სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის მეხუთე ძირითადი ექსპედიციის ეკიპაჟი—კოსმონავტები ალექსანდრე ვიქტორენკო და ალექსანდრე სერებროვი, რომლებიც დიდი ხანია მუშაობენ დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე.

„სოიუზ ტმ-9“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტები ანატოლი სოლოვიოვი და ალექსანდრე ბალანდინი თავს კარგად გრძნობენ.

პილოტირებული ხომალდისა და ორბიტული კომპლექსის შეპირაპირება გათვალისწინებული იყო 13 თებერვლისათვის.

ხუთწლედის მოწინავენი

ვინ მოთვლის მერამდენედ მოუყვება მეცხოველეობის ფერმისაკენ მიმავალ გზას ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე ლენა ბუაძე, მისი მეუღლე ბიძინა ბუაძე, სამ ათეულ წელზე მეტია, რაც აღნიშნულ ფერმაში შრომობს. თვითონაც გვერდით უდგას მეუღლეს და ერთგულად და უღალატოდ აკეთებენ ამ ისევ და ისევ ძნელ უბანზე საქმეს.

მართალია ამდენი ხანია ფერმის მწყემსია ლენას მეუღლე ბიძინა, მაგრამ ისევ ძველებურად, ისევ დაუზარელად შრომობს— უღალატო, მონდომებული, პატიოსანი მშრომელი ადამიანებიო, — ამბობენ მუდამ საქმისათვის შემართულ ცოლ-ქმარზე სოფელში.

სურათზე: ტვიშის კოლმეურნეობის მწყემსი-მწველავი ლენა ბუაძე.

ზ. გზოგბავას ფოტო.

ოჯახური ზრახვიცვა კარნახობს

თებერვლის მზიანი, თბილი დღეებია. კარსმომდგარი გაზაფხულის მომზადებული შეხვედრისათვის პირველ რიგში სიტყვა მექანიზატორებს ეკუთვნით.

მუხრან ახვლედიანი ლაჯანის კოლმეურნეობის მექანიზატორია. ახალგაზრდა კაცი, ორი შვილის მამა ყოველთვის მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს, არცაა გასაკვირი, იგი ხომ რაიონში ცნობილი მევენახის დავით ახვლედიანის შვილია, და შრომისმოყვარეობის, საქმისადმი ერთგულების ოჯახურ ტრადიციას აგრძელებს.

ამთავითვე მაღალი ტემპის აღებას, სამეურნეო წლის გამართულად დაწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ახლა, როცა ძველის მსხვრევისა და ახლის დამკვიდრების პროცესში გამოკვეთილია ახალგაზრდების პოზიცია, მუხრან ახვლედიანი მზადაა მხარი აუბას ყოველგვარ სიახლეს, სოფლისა და რესპუბლიკის ეკონომიკური განმტკიცებისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანოს, რადგან იცის, რომ თუკი ყველა ერთსულოვანი იქნება, აქტიურად იბრძოლებს თავისი საქმის მაღალ დონეზე შესრულებისათვის, მოვიახლოვებთ საქართველოს იმ მომავალს, რაზეც დღეს ყველა ქართველი ფიქრობს.

გარდა იმისა, რომ მუხრან ახვლედიანს აქტიური წვლილი შეაქვს ხვნა-თესვის ხარისხიანად ჩატარებაში, იჯარით გაპიროვნებულ ზვარსა და სიმინდის ყანასაც გულმოდგინედ უვლის. გასულ წელს ყურძნის საგეგმო დავალება წარმატებით შეასრულა, სასიმინდე ნაკვეთიდან კოლმეურნეობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავის კუთვნილი ჩააბარა და მიმდინარე ახალი წლისათვის თადარიგიც დაიჭირა.

შორს აღარაა ის დრო, როცა მინდორში ტრაქტორი აგუგუნდება, მუხრან ახვლედიანი სტარტზეა და მზადაა საიმედო საფუძველი მოუმზადოს მარცვლეულის სიუხვეს.

ნ. მახარობლიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებსა და სასოფლო - სამეურნეო საწარმოებში

საკითხთა შორის საკითხი, რომელიც დღეისათვის ძლიერ აღელვებს საზოგადოებას, არის სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები, რომლებიც დღითი დღე მწვავდება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს ბევრი დადგენილება, კანონი და დებულება შემუშავდა სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების შესახებ, დაიხვეწა და ახლებურ მოთხოვნებს მოერგო მეურნეობრიობის პროგრესული ფორმები და მეთოდები, სოფლად ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდაქმნას ჯერ კიდევ უჭირს, მისი პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში ბევრი წინააღმდეგობა და დისპროპორცია დაძლევას მოითხოვს. ამის გამოც არის, რომ სოფლის მეურნეობაში ფეხათრევით ინერგება და ახლებური გაქანება ვერ შეიძინა ვერც სრულმა სამეურნეო ანგარიშმა და ვერც თვითდაფინანსებამ.

მრავალი ათეული წლის პრაქტიკამ დაადასტურა, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში დიდი და ხშირი ცვლილებები განიცადა შრომის ანაზღაურების სისტემამ და ფორმებმა, მაინც ვერ მოინახა ისეთი ვარიანტი, რომელიც სრულად უპასუხებდა შრომითი კოლექტივების და მშრომელთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მოთხოვნებს. შრომა, უპირველესად მატერიალურ დაინტერესებაზე უნდა იყოს დაფუძნებული და არა შიშველ ენთუზიამზე, რამაც კარგა ხანია თავისი დრო მოჭამა.

ამიტომ დღეს კოლმეურნეობებში მიმდინარე საანგარიშო კრებებს იმედის თვალით შეჰყურებენ კოლმეურნეები. ასეც იყო ღვირიშის კოლმეურნეობაში 12 თებერვალს. სასოფლო კლუბი სავსე იყო მშრომელებით. იგრძნობოდა მათი დაინტერესება მომავლით, შრომის რა ფორმას აირჩევდნენ.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. ნიკოლაიშვილი. კამათში ყოველგვარი წინასწარი

დისციპლინა იჯარასაც უყვარს

დაპროგრამების გარეშე მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეებმა: ცირა ხეცურიანმა, ლევარსამ ქომეთიანმა, ალიოშა, აკაკი ნემსწვერიძეებმა, რუბენ არჩვაძემ, აქვსენტი ირემაძემ, ბუხუტი და გრიშა ჩხეტიანებმა და სხვებმა.

საანგარიშო მოხსენებასა და მოკამათეთა გამოსვლებში ანალიზი გაუკეთდა 1989 სამეურნეო წელს კოლმეურნეობაში გატარებული მუშაობის შედეგებს, წარმოითქვა ბევრი საყურადღებო წინადადება, კრიტიკული შენიშვნა.

აღინიშნა, რომ დღევანდელი ღვირიშის კოლმეურნეობა 1974 წელს ოთხი ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ შრომის დისციპლინისა და ანაზღაურების დაბალმა დონემ, სახელმწიფო დოტაციაზე დამოკიდებულებამ, სხვისმა მოიმედეობამ ძალზე გააღარიბა და დავალიანებაში ჩააგდო კოლმეურნეობა. ვალებმა ერთ მილიონ მანეთამდე მიაღწია.

მაგრამ 1988 წლიდან კოლმეურნეობა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში ოჯახურ იჯარაზე გადავიდა, რამაც გარკვეული შედეგები მოგვცა. კოლმეურნეობამ გასული წელი დიფერენციერებული ფასის ჩათვლით მოგებით დაამთავრა. დღეისათვის კოლმეურნეობას ანგარიშზე 264 ათასი მანეთი აქვს, რაც შეუძლია მოახმაროს მეურნეობას, სოფლის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

გასულ წელს კოლმეურნეობაში, გარდა აბრეშუმის პარკის დამზადებისა, არ შესრულდა სოფლის მეურნეობის არცერთ დარგში სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმები.

კრებაზე დასახელდა ის მოწინავე მოიჯარეები, რომლებმაც მაღალი მოსავალიც მიიღეს და პირნათლად მოიხადეს ოჯახური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობანი, ესენია: მესიმინდეები შოთა, გრიშა, ნიაზ ირემაძეები, ლევან ხვადაგიანი, პავლე ახვლედიანი (ნასპერი), კოლია ფუტკარაძე, თეოფანე არდანიანი, ბენია, ენუქი ცინარიძეები, ვალიკო ძნელაძე, დავით ჭელიძე (სანორჩი), ბუხუტი ნემსწვერიძე, უშანგი, ნოდარ, გრიშა, ტიტიკო, ჯიმშერ, ომარ, ნანული ნემსწვერიძეები (უცხერი), მევენახეები გრიშა და ინდისი ყურაშვილები, ავთანდილ ხეცურიანი, გედეონ, ლამარა, ბუხუტი ნემსწვერიძეები, კოტე ბაქრაძე, მეაბრეშუმეები ლამარა ნემსწვერიძე, მთვარისა ვაჩაძე, შურა ფუტკარაძე, დოდო ფრუიძე და სხვები.

კრებაზე ამასთან ხაზი გაესვა იმას, რომ ოჯახური იჯარით შრომასაც უყვარს დისციპლინა. (ღვირიში), კუკური, რეზო, გელა ნემსწვერიძეები, რეზო უჩაძე (უცხერი), გურგენ ირემაძე, ლედი ფრუიძე (ნასპერი), ასკალონ სვანიძე (სანორჩი), ვილიამ, ორენტი ყურაშვილები (ნაკურალეში), ემელიანე სვანიძე (ცხუკუშერი) და სხვა.

ძალზედ ცუდი მდგომარეობაა მევენახეობაში. მართალია, ღვირიშის კოლმეურნეობა წლების მანძილზე ვერ ასრულებდა ყურძნის დამზადების გეგმებს, მაგრამ, სამწუხაროდ, გასულ წელს წინა წელთან შედარებით არსებითად შემცირდა ყურძნის დამზადება. ეს ძირითადად გამოიწვია იმან, რომ მევენახეთა ერთმა ნაწილმა გეგმის ზევით მიღებული ყურძენი სახელმწიფო ღვინის ქარხანაში კოლმეურნეობის სახელზე ჩაბარებულად არ აჩვენეს, კიდევ მეტი, ზოგიერთმა იჯარით აღებული ვენახიდან მიღებული ყურძენი ოჯახშიც კი დაწურა, ხოლო მათ მიმართ დღემდე არ გატარებულა რაიმე ღონისძიება.

კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მეურნეობის ეკონომიკის განვითარების, თუ სოფლად სოციალურ-კულტურული ღონისძიებების გატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, [illegible] წელს მოწეულ [illegible] ნასპერის აგროუბანში [illegible] კეთდა რეალიზაცია და გაფუჭდა, სოფელ ნასპერში, ყოფილი კანტორის ეზოში, ბელლები დაუხურავია, წვიმა ჩადის და ლპება. სოფლად ხორცის დამზადების საქმეში სერიოზული წინააღმდეგობებია. კერძოდ, ტრანსპორტირების დროს სოფლად ჩაბარებული პირუტყვის წონის 10 პროცენტზე მეტი ეკარგებათ, რაშიდაც ცოდავენ წყალტუბოს ხორცკომბინატის მუშაკებიც. მაგალითად, გასულ წელს სოფლიდან გაგზავნილსა და წყალტუბოს ხორცკომბინატში მიღებულ წონას შორის სხვაობამ შეადგინა 6 ტონა, რაც საკმაოდ დიდი ციფრია. კეთილმოწყობას მოითხოვს შიდასასოფლო, მახაში-ღვირიშის საავტომობილო გზები, სასწრაფოდ აღსადგენია ხიდი ღვირიშში, ნასპერი-უცხერი-სანორჩისაკენ მიმავალ გზაზე.

კრებაზე კოლმეურნეთა გარკვეულმა ნაწილმა მოითხოვა გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა. მათ განემარტათ, რომ ერთხელ კიდევ აწონ-დაწონონ, გააანალიზონ, შეაჯერონ აღნიშნული საკითხი და დააყენონ იგი რაიონის ხელმძღვანელთა წინაშე 10 მარტამდე.

კრებამ დაამტკიცა წლიური ანგარიში, სარევიზიო კომისიის აქტი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საანგარიშო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. კ. ბუგბავამ.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანმა კ. ს. მუშკუდიანმა.

ნ. ნემსაძე.

რა გადავცეთ შვილებს?

წინათ, როცა მომავალზე ფიქრობდა, გლეხს შვილებისათვის გადასაცემ იმედად ეგულებოდა მიწა! ახლა მიწა სახელმწიფო საკუთრებაა, ე. ი. იმ ხალხისაა, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში ბოლშევიკების ლოზუნგი იყო: მიწა—გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები—მუშებს! საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სოციალიზმის მშენებლობის პროცესში დაიწყო კოლმეურნეობების ჩამოყალიბება (ოცდაათიან წლებში). კოლექტიური მეურნეობების საშუალებით საბჭოთა სახელმწიფომ მოიპოვა დიდი გამარჯვება, რასაც შემდეგში მოჰყვა დამარცხება ფაშისტური გერმანიის, რომლის განკარგულებაში იყო მთელი ევროპა და მისი შეიარაღება.

ორმოცდაათიანი წლებიდან საკოლმეურნეო სისტემა თანდათან მოიშალა. კლება იწყო მოსავლიანობამ და 80-იან წლებში განადგურების გზაზე დადგა. ეს გამოიწვია ხრუშჩოვისეული ხელმძღვანელობის შეცდომებმა, პიროვნების კოლის შეუფასებლობამ. კოლმეურნეობათა გამსხვილებამ და იმ აზრმა, რომ ყოველ უმაღლესდამთავრებულ პიროვნებას შეეძლო კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა. შემდეგ დაიწყო ათასგვარი ექსპერიმენტის გატარება, რამაც მთლიანად მოშალა სოფლის მეურნეობა. გლეხებმა დაიწყეს სოფლის მიტოვება, იკლო მოსავლიანობამ. მიუხედავად ამისა კოლმეურნეობაში სახელმწიფო დამზადების გეგმების მოცულობა არ იკლებდა, ამიტომ გლეხს უკვე აღარაფერი რჩებოდა, და მიგრაციის ტემპმაც იმატა. ეს განსაკუთრებით შეეხო ჩვენს მთიან და მცირემიწიან რაიონს, ტექნიკის არასწორად გამოყენებამ კი დააზიანა სავარგულები.

გარდაქმნამ და საჯაროობამ წარმოშვა მრავალი პოლიტიკური მიმართულება, რომლებიც არ იწონებენ საკოლმეურნეო სისტემას. ამას გლეხობაში აზრის გაორება მოჰყვა. ამ სიტუაციაში ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გამო მიზანშეწონილად მიმაჩნია დაიშალოს კოლმეურნეობა და მიწა გადაეცეს გლეხობას, მიწას უნდა ეშველოს. აღარც სახნავი სავარგულები, ბაღ-ვენახები ვარგა და აღარც საკოლმეურნეო ტყეები. ვფიქრობ, მიწა გლეხებს უნდა გადავცეთ უსასყიდლოდ, სამუდამო მფლობელობაში. ამით გზა გაეხსნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მზარდ წარმოებასა და დამზადებას. გლეხობამ უნდა უზრუნველყოს ქვეყანა სურსათით.

ვალერიან სილაგაძე,
ომისა და შრომის ვეტერანი,
სოფელი ლასხანა.

სოფლის იმედი

სოფელ მახურაში მცხოვრები სოფლის ექთანი არეთა უგულავა 3 ათეულ წელზე მეტია კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. არეთას განუზომლად უყვარს თავისი სპეციალობა, რომელსაც ფაქიზად და კარგად იყენებს სოფლის მშრომელთა სამსახურისათვის. სათნო, თავმდაბალი, დაუზარელი, ავადმყოფისათვის დიდი იმედის მომცემი—ასე ახასიათებენ მახურაში მცხოვრებნი არეთა ექთანს.

მახურა მაღალმთიანი და ზუბის საექიმო უბანს დიდად დაცილებული სოფელია. ექიმსაც უჭირს სოფელში მოსვლა, ავადმყოფისთვისაც ძნელია საექიმო უბანში მისვლა. მთელი სიმძიმე ექთანზე გადადის. ამას კარგად გრძნობს არეთა და მთელი მონდომებით მუშაობს. მისი მუშაობის პერიოდში ბევრი ავადმყოფისათვის გაუწევია პირველი და გადაუდებელი დახმარება. მას პუნქტში ყოველთვის აქვს პირველი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები, სრულყოფილად ასრულებს ექიმის დანიშნულებებს.

არეთამ მახურელთა ჯანმრთელობისათვის დაუღალავი მოქმედებით, დღე და ღამ, წვიმასა და თოვლში, ყინვასა თუ პაპანაქება სიცხეში ავადმყოფთან დაუზარელად და დროულად მისვლით, საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოჩენით, ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

არეთა სამსახურებრივ მოვალეობას კარგად უთავსებს ოჯახურ საქმიანობასაც. იგი არის შესანიშნავი დედა, ფუძეძლიერი ოჯახის დიასახლისი. მეუღლესთან, ოთარ მუშკუდიანთან ერთად, რომელიც წლების მანძილზე ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი იყო, ამჟამად ამავე სკოლაში მათემატიკის მასწავლებელია, სამი შვილი აღზარდა, სამივემ უმაღლესი განათლება მიიღო. მისი უმცროსი ვაჟი გიორგი მუშკუდიანი ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსია.

არეთა ნამდვილად სოფლის იმედია, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებთ ამ კეთილ ადამიანს.

საშა მამარდაშვილი,
სოფელი მახურა.

სიახლენი საპენსიო კანონმდებლობაში

კითხვა: არის თუ არა ახალი კანონით გათვალისწინებული მუშაობის პერიოდში მოხუცებულობის პენსიის სრულად გაცემა მუშა-მოსამსახურეებისათვის. ხომ არაფერი ცვლილებაა მოსალოდნელი ინვალიდობის პენსიის გაცემის ამჟამად მოქმედ წესში?

პასუხი: მოსამსახურეთა კატეგორიისათვის მოხუცებულობის პენსიის გაცემა ახალი კანონითაც უცვლელი რჩება (პენსია და ხელფასი ერთად აღებული არ უნდა აჭარბებდეს 150 მანეთს). მაგრამ მუშებად და ოსტატებად მომუშავე პენსიონერებს მოხუცებულობის გამო პენსიები, აგრეთვე პერსონალურ პენსიონერებს, მეცნიერ მუშაკებს და მომუშავე ინვალიდებს (სამუშო ადგილის მიუხედავად) ინვალიდობით დანიშნული პენსიები მიეცემათ სრულად ხელფასის (შემოსავლის) გაუთვალისწინებლად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სასიკეთო ცვლილება კანონში შევიღა 1990 წლის 1 იანვრიდან.

ნ. ცვარიანი,
ცაგერის რაისოციუზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

სკოლა და ცხოვრება

ოჯახი და სკოლა—ეს სიტყვები, როცა საკითხი ახალგაზრდობის აღზრდას ეხება, ერთ ცნებად ერთიანდება. სკოლისა და ოჯახის ვალია აღზარდონ ახალგაზრდა ღირსეულ მოქალაქედ, მამულიშვილად.

„საჭიროა ვიცოდეთ,—გვასწავლის ილია,—რომ შვილის გაზრდა უდიდესი ვალია მშობლისა. გაზრდა შვილისა ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე, ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და დრო ამას უნდა მოვახმაროთ.“

დღეს კიდევ უფრო გაიზარდა მომავალი თაობის აღზრდაში მშობელთა წინაშე წაყენებული მოთხოვნები.

სკოლასთან ერთად შვილის აღზრდისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებს, ოჯახს. რაც უფრო მეტს გააკეთებს ოჯახი მომავალი თაობის აღზრდისათვის, მით უფრო ბედნიერი იქნება მშობელთა ცხოვრება.

ჭეშმარიტებაა, რომ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარიმართება კარგად, როდესაც მშობლები და აღმზრდელი-მასწავლებლები შეგნებულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ერთობლივი ღონისძიებებით ყველაფერს გააკეთებენ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვისათვის. ამისათვის კი საჭიროა სკოლისა და ოჯახის კავშირის განმტკიცება, რომლის უმნიშვნელოვანესი ფორმაა მშობელთა კომიტეტი.

მშობელთა კომიტეტი დიდი ძალაა მოზარდი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბებაში. მშობელთა კომიტეტის წევრები ეცნობიან სკოლის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების სიახლეებს, იმ სირთულეებს, რომლებიც თან სდევენ ახალგაზრდობის ასაკობრივ განვითარებას, საჭირო რჩევებს აძლევენ მშობლებს შვილთან ურთიერთობაზე.

მშობლები იყვნენ, არიან და კვლავაც იქნებიან პირველადი აღმზრდელები. აღიარებულია ის დებულება, რომ არც საბავშვო ბაგას, არც ბაღს, არც სკოლას, სკოლისგარეშე სხვა დაწესებულებებს არ შეუძლიათ შეცვალონ ოჯახი, მშობლები. ისინი წარმატებით ვერ გადაჭრიან მათ წინაშე დაყენებულ აღმზრდელობით ამოცანებს ოჯახის დახმარებისა და ოჯახთან, მშობლებთან ერთობლივი მუშაობის გარეშე.

ჩვენი სკოლის მშობელთა კომიტეტს (თავმჯდომარე მ. გუგავა) შედგენილი აქვს სამუშაო გეგმა, რომელიც სკოლისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობას ემსახურება. მშობელთა კომიტეტის მუშაობის დევიზია კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს ოჯახსა და სკოლას შორის, მთელი მისი მუშაობა მიმართულია ძირითადი მიზნის—მოზარდის სწორი აღზრდის განხორციელებისაკენ, რისთვისაც პირველხარისხოვან მნიშვნელობას ვანიჭებთ მშობელთა პედაგოგიზაციას, რაშიც კარგ სამსახურს გვიწევს მშობელთა სახალხო უნივერსიტეტი. სკოლის ხელმძღვანელები, გამოცდილი პედაგოგები, პედაგოგიური გამოცდილების მქონე მშობლები უნივერსიტეტის მსმენელებისათვის აღზრდის აქტუალურ საკითხებზე გამოდიან ლექცია-საუბრებით, პრაქტიკული მეცადინეობებით.

კომიტეტის ხელმძღვანელობით მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, საკლასო ოთახების, ეზოგარემოს გამშვენიერებისათვის.

მშობლები მორიგეობენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პედაგოგებთან ერთად და აკვირდებიან აღსაზრდელების ქცევას, ქმედით ღონისძიებებს იღებენ მოსწავლეთა სწორად ფორმირებისათვის, მშობელთა კომიტეტის აქტიური ჩარევით ეწყობა მოსწავლეთა ექსკურსიები, პერიოდულად მოწმდება მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა.

მშობელთა კომიტეტი პედკოლექტივთან ერთად ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თითოეული მშობელი არა მარტო სიტყვით, არამედ საკუთარი ქცევით იყოს ბავშვებისათვის გულმართლობისა და პატიოსნების მაგალითის მაჩვენებელი და ჩამნერგავი, კომიტეტი რჩევა-დარიგებებით ეხმარება მშობლებს ბავშვების შრომის და დასვენების ორგანიზაციის, დღის რეჟიმის დაცვის, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების და ოჯახში მათი აღზრდის სწორად გადაწყვეტის მოგვარებაში.

მშობელთა კომიტეტი, სკოლის ხელმძღვანელობა შთავაგონებთ მშობლებს, რომ მამულიშვილის აღზრდა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წარჩინებით სწავლის უზრუნველყოფა. შეიძლება ითქვას მეტიც, რადგან არასწორად აღზრდილი შვილი, მაგრამ სწავლული, საზოგადოებისათვის უფრო საშიშია, ვიდრე ნაკლებად მომზადებული, მაგრამ ზნეობრივად სრულყოფილი.

მშობელთა კომიტეტი დიდი ძალაა სკოლისათვის, გასაკეთებელი სკოლასა და მშობელთა კომიტეტს კი ძალზე ბევრი გვაქვს. ჩვენი მთავარი ამოცანაა აღვზარდოთ ერის ღირსეული მამულიშვილები და მთელი პედაგოგიური კოლექტივი, მშობელთა კომიტეტი, მშობლები მობილიზებული ვართ შევასრულოთ ეს დიდი ამოცანა.

მ. გორგასლიძე,
ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი.

მშოგველთა კომიტეტი და სასწავლო - საალმზრდელო მუშაობა

დეპუტატი და ცხოვრება

კეთილსინდისიერი შრომით დაიმსახურა

იყო ხალხის რჩეული, გენდობოდნენ, სჯეროდეთ შენი — არ არსებობს ამაზე დიდი პატივი. დეპუტატი ის ადამიანია, რომელსაც შეუძლია თავისი კუთხისა და ხალხის ერთგულება, მათდამი კეთილსინდისიერი სამსახური. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ორბელის სასოფლო საბჭოს დეპუტატი, ორბელის კოლმეურნეობის №3 აგროუბნის ხელმძღვანელი, კომუნისტი ჭიჭიკო ზაქარიას ძე კვენტაძე, იგი თანასოფლელების მიერ მეოთხეჯერ არის არჩეული სასოფლო საბჭოს დეპუტატად.

ხალხის ნდობა კომუნისტმა ჭ. კვენტაძემ, პატიოსანი შრომით, საერთო საქმისადმი ერთგულებით მოიპოვა. იგი ყოველთვის ცხოვრების შუაგულშია, უყოყმანოდ ასრულებს ამომრჩეველთა განაწესს, ზრუნავს სოფლის სოციალურ-კულტურული პრობლემების გადაწყვეტისათვის.

უკვე 20 წელია იგი უნარიანად უძღვებოდა №3 ბრიგადას. მისი ხელმძღვანელობით ბრიგადა წლების მანძილზე მოწინავეა კოლმეურნეობაში, მისი ინიციატივით აგროუბნის ყველა წევრი ჩაბმულია იჯარულ შრომაში. კომუნისტი დეპუტატი ჭ. კვენტაძე დაუზარელი შრომით, რომელსაც ბავშვობიდანვე ეზიარა, პირად მაგალითს აძლევს ამომრჩევლებს შრომაში, სოციალისტური ცხოვრების ნორმების დაცვაში. ჭიჭიკოს უკვე 64 წელი შეუსრულდა, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს. სანიმუშოდ უვლის იჯარით გაპიროვნებულ 0,4 ჰექტარ სიმინდის ყანას, 0,12 ჰექტარ მსხმოიარე ოჯალეშის ჯიშის მაღლარ ვენახს, საიდანაც უურძნისა და სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავს.

კარგი ოჯახი აქვს დეპუტატს, ის და მახავთ შრომისმოყვარე მეუღლე თინა ექვსი შვილით ხარობენ, ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი აღიზარდა მათ ოჯახში. მათგან სამი უკვე დაოჯახებულია.

ჭ. კვენტაძე მეუღლესთან ერთად, შვილების დახმარებით, კარგად უვლის საკარმიდამო მეურნეობას, წარმოებულ ყურძნის, ხილის, ხორცისა და სხვა ნამეტ პროდუქტებს ჰყიდის სახელმწიფოს. გასულ წელს დეპუტატის ოჯახმა სახელმწიფოს მიჰყიდა 1500 კილოგრამი ოჯალეშის ჯიშის ყურძენი, 500 კილოგრამი ხორცი და 25 კილოგრამი ყველი.

დეპუტატ ჭ. კვენტაძის ხელმძღვანელობით საარჩევნო ოლქში ბევრი რამ გაკეთდა სოციალისტური კანონიერების დაცვის, ოჯახური თუ მეზობლური დავების მოგვარებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის.

იგი ყოველთვის ხალხთანაა, სოფლის შუაგულში ტრიალებს, ზრუნავს მშრომელთა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მისი წინამძღოლობით გასულ წელს შერემონტდა წყარო, მან ბევრი იზრუნა სოფლის გზის კეთილმოწყობისათვის. იგი თანასოფლელთა სატკივარითა და საზრუნავით ცხოვრობს.

ჭიჭიკო უყვართ სოფლის მშრომელებს და პატივს სცემენ. ეს სიყვარული და პატივისცემა კეთილსინდისიერმა შრომამ, საერთო საქმისადმი, ხალხის სამსახურისათვის ერთგულებამ მოუტანა მას.

ვლ. დავითულიანი.

ინებეთ ქართული პური

დილაობით ცაგერის პურის მაღაზიაში ყოველთვის ხალხმრავლობაა. მაღაზიის დარბაზი დაბრაწული ლავაშის სურნელებით ივსება და სულ რამდენიმე წუთში „ნადავლით“ ხელდამშვენებული იღბლიანები ტოვებენ მაღაზიას. შიგ კი უკმაყოფილოდ ბუზღუნებენ ისინი, ვისაც ლავაში არ ხვდა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ცაგერის ქართული პურის საცხობში განუწყვეტლივ მიმდინარეობს საწარმოო პროცესი. გახურებული თორნეში იკვრება აფუებული გუნდები, დროდადრო ცხელ ოხშივარში გახვეული ხაბაზები ხელში შეათამაშებენ უკვე დაბრაწულ ლავაშს და პურის ახალი პარტიაც მზადაა.

შოთა საღინაძე 26 წელია ამ სისტემაში მუშაობს და ქართულ პურს აცხობს. სწორედ მისი ნახელავი სარგებლობს ასე დიდი მოწონებით ცაგერელებში. შეზღუდული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალებას არ იძლევა მაქსიმალურად დააკმაყოფილონ მომხმარებელი. ამიტომაც იმართება დიდი რიგები იქ, სადაც ლავაში იყიდება. ბევრი სხვა პრობლემაც ჩნდება ამის გამო, რის გადაჭრასაც დღემდე ცდილობენ.

გემრიელი ქართული პურის ცხობის ოსტატია შოთა საღინაძე. ეს ტრადიციული პროფესია სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ჩვენში, რაც ადასტურებს ტრადიციებისადმი ხალხის ერთგულებას.

სურათზე: ლავაში უკვე მზადაა. შოთა საღინაძე ამოწმებს თავისივე ნახელავს.

ზ. გზოგბავას ფოტო.

ქმედითობა

„სიტყვა საქმიანი“

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 13 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი „სიტყვა საქმიანი“, რომელშიც ავტორი გამოხატავს გულისტკივილს ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. მათ შორის ლაპარაკია №23 საგზაო სამმართველოს შესასვლელთან არსებულ ორმოებსა და წყლის გუბეებზე.

ამასთან დაკავშირებით გაზეთს უპასუხა №23 საგზაო სამმართველოს უფროსმა კ. გოგიძემ. იგი გვწერს: წერილში მოყვანილი ფაქტი სწორია. სამმართველო აღნიშნულ მონაკვეთზე ყოველწლიურად ატარებს ორმოული შეკეთების სამუშაოებს, მიმდინარე წელსაც სათანადო ამინდების დადგომისთანავე შევაკეთებთ.

მაგრამ წერილში მოხსენებული გზა, კერძოდ, წყალტუბო-ცაგერის გზის 59-ე კილომეტრი (გიორგავას ღელე-სტადიონის მონაკვეთი) საჭიროებს კაპიტალური რემონტის სამუშაოებს, უნდა დაიფაროს მთლიანად გზა ასფალტბეტონის საფარით. თუ ეს სამუშაოები ცაგერის საგზაო სამმართველოს მიერ ჩაგვესმება №23 საგზაო სამმართველოს მიმდინარე წლის გეგმაში, ჩვენი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ამ სამუშაოების შესრულებას წლის პირველ ნახევარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპისკოპოს ზოსიმეს ქადაგებანი

ხორციელის კვირა

18 თებერვალი

ქრისტეს მიერ საყვარელნო!

დიდი მარხვის დაწყების წინ წმინდა ეკლესია ყოველთვის გვახსენებს კაცობრიობის უკანასკნელი საშინელ განსჯა-გასამართლებას მაცხოვრის მეორედ მობრძანებისას, რათა გამოგვაფხიზლოს ცოდვებით დამძიმებულნი და განგვაწყოს სინანულისადმი. ქვეყნიერების დასასრულის ცხადად წარმოდგენა მეტად საჭირო და სასარგებლოა ჩვენთვის, მორწმუნეთათვის, რათა მოვემზადოთ იმ საშინელი დღისათვის. ამიტომ შევეცდებით საღვთო წერილზე დაყრდნობით წარმოგიდგინოთ ყველაფერი, რაც კი ეუწყათ ადამიანთ მაცხოვრის მეორედ მოსვლაზე სულიწმინდით.

პირველი და უმთავრესი კითხვა, რომელიც ადამიანს უჩნდება ამ საკითხზე არის შემდეგი: როდის იქნება ქრისტეს მეორედ მობრძანება, ანუ როდის იქნება ქვეყნიერების დასასრული? მივმართოთ საღვთო წერილს, ერთხელ მოციქულებმა ჰკითხეს უფალს, თუ როდის იქნებოდა აღსასრული სოფლისა, რაზეც მან უპასუხა: „დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოსთა ცისათა, გარნა მამამან ჩემმან მხოლომან“ (სახარება მათეხი, თავი 24, მუხლი 36) რატომ დაიფარა ღვთისაგან კაცთათვის ეს დიდი საიდუმლო? იმისათვის, რომ მარადის მღვიძარებასა შინა ვიყვნეთ, არ მოვდუნდეთ. მართალია, საღვთო წერილი პირდაპირ არ განსაზღვრავს მაცხოვრის მეორედ მოსვლის დროს, მაგრამ გვაუწყებს ყველა იმ მინიშნებასა თუ სასწაულს, რომელნიც წინ უძღვება მას, რომელია ეს ნიშნები? პირველი ნიშანია სახარების მთელ დედამიწაზე ქადაგება. მეორე უმთავრესი მინიშნება კი არის ის, რომ თუმცა სახარება დედამიწის ყოველ კუთხეში იქნება ნაქადაგები, მაინც შემცირდება კაცთა შორის პატიოსნება, სიწმინდე და სიყვარული, ცოდვა გაბატონდება მთელი დედამიწის ხალხებზე, დასუსტდება შიში და სიყვარული ღვთისა, გამრავლდება კაცის კვლა, ბოროტება, ძარცვა-რბევა, და ათასი სხვა სისაძაგლე. მაშინ მომრავლდებიან ფარისეველი და მზაკვარი ადამიანები, რომელნიც მორწმუნე კაცის ნიღაბს აიფარებენ, შიში და სიყვარული ღვთისა კი არ ექნებათ. ზნეობა კაცთა უკიდურესად დაეცემა, როცა ცოდვა მოინადირებს ყოველ კაცს, როცა ცოდვას მეტნაკლებად დაემონება ყოველი ადამიანი, მაშინ გამოჩნდება უცხადესი ნიშანი კაცობრიობის დასასრულისა—ანტიქრისტე. ქრისტეს დიდი მოწინააღმდეგე, მთელი თავისი ცბიერებითა და ხიძლიერით. იგი ღმერთად გამოაცხადებს თავის თავს, მოახდენს ათასგვარ სასწაულს და ნიშნებს და დაიმონებს ურწმუნოთა და მცირედმორწმუნეთ. ანტიქრისტე. თავისი ხანმოკლე მოღვაწეობით, შეავსებს ადამიანთა უსჯულოებასა და უწესობას და დაიჩაქრებს ჭეშმარიტი ღმერთის—იესო ქრისტეს მობრძანებას. მაშინ გამოჩნდება სასწაულები და ნიშნები, როგორც მიწაზე, ისე ზეცას, მოხდება მიწისძვრები და ბრძოლები, ისედაც არეული და დაბნეული ხალხი უფრო მეტად აირევა და შიში დაეუფლება მოსალოდნელი საფრთხისა. მხოლოდ მცირეოდენილა იქნებიან უფლის მოლოდინში და დაითმენენ ყოველივეს ღვთისათვის, და აი, სწორედ მაშინ, როგორც წმინდა სახარება გვაუწყებს, „იტყუებდნენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და იხილონ ძე კაცისაი, მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა (მთ. 24, 30) განსაკუთრებით მივაქციოთ ყურადღება მაცხოვრის სიტყვებს: მაშინ—„იწყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი“ ე. ი. როცა დაინახავენ ქვეყნის მკვიდრნი ზეციდან დიდებით მომავალ უფალს ჩვენსას—იესო ქრისტეს, იწყებდენ ცემას, გოდებასა და ტირილს. ძნელია სიტყვით აღწერა იმ საშინელი დღისა. მაშინ შიში და ძრწოლა დაეუფლება იმასაც, ვინც ღვთის მორჩილებასა და შსახურებაში ატარებდა ცხოვრებას, რადგან არ ეცოდინება გაამართლებს თუ არა მას ღმერთი. მაგრამ ცოდვილი ხალხისაგან განსხვავებით ერთი ნუგეში მაინც ექნებათ მათ, კერძოდ ის, რომ სწამდეთ ღმერთი და შეძლებისამებრ ასრულებდნენ მის მცნებებს. მაშინ განცხადდება ყველასათვის ჭეშმარიტება სახარებისა, და იესო ქრისტეც აღიარებული იქნება უზენაეს მსაჯულად ქვეყნისა, საშინელი სასჯელის მოლოდინში შიში, ძრწოლა და მწარე სინანული დაეუფლება დიდსა და პატარას. ღვთის წინაშე შეიკრიბებიან გასასამართლებლად ხალხები დედამიწისა ისე მრავლად, რომ მათი აღრიცხვისათვის ადამიანის ენაზე შესაფერისი რიცხვიც კი არ მოიძებნება. ბრალდებულთა შორის იქნებიან ჩვენთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანებიც, რაც კიდევ უფრო საშინელსა და შემაძრწუნებელს გახდის სამსჯავროს. მთელი ქვეყნის თვალწინ გადაიშლება მსოფლიო ცოდვების სანახაობის სურათი მთელი მისი სიშიშვლითა და საზიზღრობით. ჩვენ, ხშირად დიდ მწუხარებასა გვგვრის ისეთი შემაძრწუნებელი დანაშაული, როგორიცაა კაცის კვლა, ღალატი, ცილისწამება და სხვა. წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში იქნებიან ადამიანები, როცა საკაცობრიო ღვთიურ სამსჯავროზე გამოცხადდება და გაშიშვლდება ყველა კაცობრიული სისასტიკე, სიმძლავრე, ულმობლობა და გულქვაობა ჩადენილი სხვადასხვა დროს ქვეყნის გაჩენიდან სხვადასხვა ხალხებს შორის.

უკანასკნელი სამსჯავრო საშინელი იქნება შედეგებითაც, ეს იქნება სამართალი გადამწყვეტი, საბოლოო. მისი განაჩენი განსაზღვრავს ბედს თითოეული ადამიანისას სამუდამოდ. აღნიშნული სამსჯავრო სამარადისოდ დახურავს ცოდვილთათვის სასუფეველის კარებს, უდიდეს უფსკრულს წარმოშობს მათსა და მართალთ შორის. „წარვედით ჩემგან წყეულნო, ჯოჯოხეთსა მას საუკუნესა, რომელი გამზადებულ არს ეშმაკისა და ანგელოსთა მისთათვის“ (მთ, 25, 41) აი, რას ეტყვის ცოდვილთ უფალი ღმერთი საბოლოოდ და მოიშორებს კიდეც მათ.

ამიტომ საყვარელნო, დარჩენილი დრო ჩვენი ქვეყნიერზე ცოცხლისა უნდა გამოვიყენოთ კეთილად, მტკიცედ უნდა დავიცვათ ღვთის მცნებები, მარადის სიკეთე და სიყვარული უნდა ვთესოთ ირგვლივ, რომ ბოლოს საყოველთაო მკისას მოვიმკათ იგი. გახსოვდეს ძმაო, რომ ახლა რასაც დასთეს, ბოლოს იმას მოიმკი. შევიძინოთ სინანული, ურომლისოდაც ვერ მოხდება ცოდვათაგან განწმენდა და გამართლება ჩვენი.

ქრისტეს მიერ საყვარელნო! ეკლესია დღეს საგანგებოდ ახსენებს ყველას ქვეყნიერების აღსასრულის მოახლოებას. ეს მკაცრი გაფრთხილება მარტო დიდი მარხვის მოახლოებით არაა გამოწვეული, იგი აუცილებლობითაცაა ნაკარნახევი, რადგან კაცობრიობამ უკვე მიაღწია თავისი არსებობის ზღვარს. მინიშნებანი მაცხოვრის მეორედ მოსვლისა, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, დღეს აღარ არის ძნელი შესამჩნევი. დედამიწაზე იგრძნობა საყოველთაო მოლოდინი განკითხვისა. რა ვქნათ, სად ვეძიოთ ხსნა? როგორ გადავარჩინოთ მორწმუნეთა სულები? ხსნა მხოლოდ და მხოლოდ სინანულში. ამიტომ საყვარელნო, კიდევ და კიდევ გვინდა მოგიხმოთ სინანულისაკენ. დაუტევეთ ფუჭი ქვეყნიური საზრუნავი, გართობა, დროსტარება და შეიძინეთ სინანული, რომ განწმენდილნი და გამართლებულნი ღირსი გავხდეთ უფლის მარჯვნივ დგომისა, და მართალთა თანა სუფევისა და გალობისა მამისა, და ძისა, და წმინდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

+მამა ილია ხეცურიანი,
ლენტეხის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი.
ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მღვდელმსახური.

სასკოლო სასაუზმე ხელს უწყობს მოსწრებას

ბოსტონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ერთმანეთს შეუდარეს ქალაქ ლოურენსის ექვსი სკოლის მესამე-მეექვსე კლასების იმ მოსწავლეთა მოსწრება, რომლებიც საუზმობენ ან არ საუზმობენ სკოლაში, დაადგინეს, რომ იმათ, რომლებიც სკოლაში საუზმობენ, მათემატიკაში ორი პროცენტით მაღალი მოსწრება აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც არ საუზმობენ, ხოლო კითხვაში ოთხი პროცენტით მაღალი.

გარდა ამისა, ის ბავშვები, რომლებიც სკოლაში საუზმობდნენ, ნაკლებად აცდენდნენ გაკვეთილებს და უფრო იშვიათად აგვიანებდნენ გაკვეთილებზე.

იმ მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესება, რომლებიც დამატებით იღებდნენ ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს, რეგისტრირებულ იქნა ინგლისურ სკოლებში.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

ბილოცავთ

ქეთევან ვლადიმერის ასულ დავითუღიანს ამირან გუჯუს ძე სვანიძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერისთვის სასახელო ვაჟკაცი, შემატებოდეს მრავალი დაძმა.

ცაგერის სამუსიკო სკოლის თანამშრომლები.

მერი გაღაქტიონის ასულ ჯიმშელეიშვილს ჯემალ დავითის ძე სალინაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

ცაგერის სამუსიკო სკოლის თანამშრომლები.

შვილები თამარ, ინდისი, შიო, დავით ყურაშვილები, სიძე ნოე ახვლედიანი, შვილიშვილები ამირანი, მამუკა, პაატა, ზაზა, ელისო, ცისმარა, შორენა, ნინო, შვილიშვილის შვილები გოგა, დათო, თამთა, დისშვილები ალიმი, შარდენი, ჯანიკო, გურამი, მარადი, ნუნუ, თემური იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელისაბედ ეხტატეს ასული ხეცურიანი-ყურაშვილი.

დაკრძალვა 17 თებერვალს, შაბათს, ქ. ქუთაისში, მაჩაბლის 65.

ცაგერის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ძაძუ ახვლედიანს სიძის

გედეონ ნემსწვერიძის

გარდაცვალების გამო.

შვილები რუსიკო, ვენერა, სიძე ბორის ჭაბუკიანი, შვილიშვილები გია, ელისო, ბესიკი, ვენერა, შვილთაშვილები თემური, ნანა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელპიტო ბაგრატის ასული კოპალიანი-გოლეთიანი.

გამოსვენება 16 თებერვალს, პარასკევს, 3 საათზე, ქ. ცაგერიდან, ორჯონიკიძის ქუჩა №5. დაკრძალვა სოფელ ნაკურალეშში.

ბარდნალის საშუალო სკოლის V-IX-X კლასების მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელები ელზა კოპალიანი, ნაზი სილაგაძე, მერაბ ქომეთიანი თანაუგრძნობენ დათო, ელისო, ლია თუთისანებს ბაბუის

ანთიმოზ ანტონის ძე თუთისანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ რუსუდან და მექი ყურაშვილებს ბიცოლის და რძლის

ელიკო ლომიძე-ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილი გედეონი, და გოგუცა, ძმები გრიგოლი, გივი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გედეონ ზაქარიას ძე ხვადაგიანი.

დაკრძალვა 17 თებერვალს, შაბათს, სოფ. ზოგიშში.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნინო გვეტაძეს დის

თამარ გვეტაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის №1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია ყურაშვილს ბიძის

ანთიმოზ თუთისანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე შარდენი, მამა გრიგოლი, დები ქეთო, ნანა, სიძეები გედეონ ჯაბურია, გურამ ქარსელაძე, მაზლი ჭიჭიკო, მაზლიშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დარიკო თევდორაძე-ლაკვეხელიანი.

დაკრძალვა 17 თებერვალს, შაბათს, სოფელ ლაჯანაში.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი. ლენინის ქ. №38. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებები: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის ხამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.